



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საოკუპაციო ძალებმა მოახდინეს სამხედრო ტექნიკისა და პერსონალის მობილიზება საოკუპაციო ხაზთან, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ჩორჩანას სიახლოვეს.

მათი წარმომადგენლები ძალის დემონსტრირებით, ულტიმატუმის ფორმით მოითხოვენ საქართველოს პოლიციის მიერ გახსნილი საპოლიციო საგუშაგოს გაუქმებას. რაც, აღმავლობებელია და იწვევს ჩვენ მძაფრ პროტესტს. ბოლო დროს აშკარად გახშირებულია რუსეთის საოკუპაციო, ან მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ძალების მიერ განხორციელებული უკანონო მოქმედებები. გამყოფი ხაზის "ბორდერიზაცია", მავთულხლართები პირდაპირ, ცინიკურად ადამიანების ბალებზე, ეზოებზე და სახლებზე გადის, სახეზეა ადამიანების გატაცებების ფაქტები, სადისტური მკვლელობები.

ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია გააძლიეროს ზრუნვა მისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, რაც გულისხმობს დამატებითი საპოლიციო საგუშაგოს ფუნქციონებას, ამავდროულად არ აპყვეს კრემლის პროვოკაციებს, გაზარდოს ძალისხმევა ქვეყანაში მშვიდობასა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე.

ამავდროულად მოვუწოდებთ საერთაშორისო ორგანიზაციებს მკაფიოდ გამოხატონ რუსეთის პროვოკაციული და აგრესიული მოქმედებების მიმართ მათი დამოკიდებულება.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
4. ასოციაცია „დეა“
5. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
6. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
7. პრესის ასოციაცია

8. ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიმედიური რესურსცენტრი"
9. სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
10. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
11. ახალგაზრდული ალტერნატივა
12. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
13. საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირი
14. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება
15. ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია
16. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
17. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობი საზოგადოება